თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს ვაკანსიებს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. კონკურსი ცხადდება შემდეგი მიმართულებით:
   1.1. **ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი; ევროპული ადმინისტრაციული სამართალი; განათლების სამართალი; სამართლის საფუძვლები - პროფესორი;**
   1.2. **სამგანზომილებიანი ხელოვნება და ინსტალაცია - პროფესორი;**
   1.3. **ფერწერა - პროფესორი;**
   1.4. **საინფორმაციო ტექნოლოგიები - ასოცირებული პროფესორი;**
   1.5. **ოპერაციებისა და წარმოების მართვა - ასოცირებული პროფესორი;**
   1.6. **მონაცემთა ანალიზი; სიმულაცია და რისკების ანალიზი - ასოცირებული პროფესორი;**
   1.7. **მარკეტინგი - ასოცირებული პროფესორი.**

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
   2.1. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი; ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი; ევროპული ადმინისტრაციული სამართალი; განათლების სამართალი; სამართლის საფუძვლების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, ასევე:

- ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, საპროცესო დოკუმენტაციის მომზადებისა და სასამართლო პროცესებზე წარმომადგენლობის გამოცდილება;
- ადმინისტრაციული სამართლის, ევროპული ადმინისტრაციული სამართლის, განათლების სამართლის მიმართულებით კვლევებში, ასევე პროექტებში მონაწილეობის გამოცდილება;
- პუბლიკაციები ადმინისტრაციულ სამართალში, ევროპულ ადმინისტრაციულ სამართალში, ასევე განათლების სამართალში;
- ინგლისური ენის ცოდნა.

უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს:

- საკონსულტაციო გამოცდილებით;
- უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული იურიდიული განათლებით.

2.2 პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **სამგანზომილებიანი ხელოვნება და ინსტალაციის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება და ასევე:

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მინიმუმ 10 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლები 10 წლის;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებულ განათლებას და მუშაობის გამოცდილებას.

2.3. პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ფერწერის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 8 წლის გამოცდილება და ასევე:

- შესაბამის სფეროში თეორიული და პრაქტიკული მუშაობის გამოცდილების მინიმუმ 8 წლიანი გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- უპირატესობა მიენიჭება განვითარებული ქვეყნების უნივერსიტეტებში მიღებულ ცოდნასა და მუშაობის გამოცდილებას.

2.4. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **საინფორმაციო ტექნოლოგიების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით გამოქვეყნებული პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში, ბოლო 10 წლის განმავლობაში, არანაკლებ 8 სტატია;
- სამეცნიერო კონფერენციებში და მოხსენებებში მონაწილეობა;
- სამეცნიერო პროექტებში მონაწილოების გამოცდილება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება წამყვან პოზიციებზე;
- ინგლისური ენის ცოდნა ;

- უპირატესობა მიენიჭება პროფესიული მიმართულებით საერთაშორისო სერტიფიცირების არსებობას.

2.5. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **ოპერაციების და წარმოების მართვის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არანაკლებ 15 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: ოპერაციების მართვა; წარმოების მართვა; წარმოების მენეჯმენტი;
- სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა .

2.6. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად - **მონაცემთა ანალიზი; სიმულაცია და რისკების ანალიზის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არანაკლებ 15 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: მონაცემთა ანალიზი; მონაცემთა ანალიზი&Power BI Desktop; ოპერაციათა კვლევა: სიმულაცია და რისკების ანალიზი; მოდელირება ექსელში.
- სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება;
- საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- პროფესიული ტრენინგების ჩატარების გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა .

2.7. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **მარკეტინგის** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მაგისტრის ხარისხი და ასევე:

- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არანაკლებ 6 წლის ისეთ საგნებში როგორიცაა: მარკეტინგი; მარკეტინგის მენეჯმენტი; ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები; სტრატეგიული ბრენდ მენეჯემენტი.
- სამაგისტრო და საბაკალავრო თემების ხელმძღვანელობის გამოცდილება;
- შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არანაკლებ 6 წლის;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;

- საკონსულტაციო საქმიანობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნას და გამცდილებას.

3. აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით, განხორციელებული პროექტებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

4. განცხადებების მიღება იწარმოებს **2026 წლის 9 იანვრიდან - 2026 წლის 15 იანვრის ჩათვლით.**

5. განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

   5.1. ბიოგრაფია (CV);

   5.2. სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);

   5.3. შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;

   5.4. ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

   5.5. პუბლიკაციების ჩამონათვალი;

   5.6. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

6. დოკუმენტაციის მიიღება ხორციელდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი - https://form.jotform.com/253412229136451

7. კონკურსის პირველ ეტაპზე კანდიდატების შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე, შერჩეულ კანდიდატებთან, ჩატარდება გასაუბრება (ან საჭიროების შემთხვევაში დაინიშნება საჩვენებელი ლექცია);

8. კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2026 წლის 16 იანვრიდან - 2026 წლის 23 იანვრის ჩათვლით.** კანდიდატების საბოლოო შერჩევის ვადად განისაზღვრება **2026 წლის 30 იანვარი.**

9. შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირთან შეთანხმების საფუძველზე.

10. აკადემიურ პოზიციაზე არჩევა მოხდება 4 წლის ვადით.

11.საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge